პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 33 (10730) | პარასკევი, 8 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

# მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. დეპუტატები განიხილავენ საკითხებს, რომლებსაც სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ხალხისათვის.

სესიის დღის წესრიგში შეტანილია საკითხები: სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი 1957 წლისათვის; მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის; საოლქო და სამხარეო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაჭრის მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის; სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დებულების დამტკიცება; სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება; საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხები. გარდა ამისა, ეროვნებათა საბჭოს სესიის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი ამ პალატის ეკონომიური კომისიის შექმნის შესახებ.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 5 თებერვლის გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სახელმწიფო ეკონომკომისიის თავმჯდომარის ამხ. მ. გ. პერვუხინის მოხსენება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. გუშინ ორივე პალატის ცალცალკე სხდომებზე მოსმენილ იქნა საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი და დაიწყო კამათი.

1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი დამაჯერებლად მოწმობენ, რომ კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული ჩვენი ხალხი სრული შემოქმედებითი ძალებით აღჭურვილი შევიდა მეექვსე ხუთწლედის მეორე წელიწადში, ხუთწლედისა, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებისა და კომუნიზმისაკენ წარმატებით წინსვლის გრანდიოზულ პერსპექტივებს სახავს.

1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას საფუძვლად უდევს მთავარი ამოცანები, რომლებიც მეექვსე ხუთწლედისათვის განსაზღვრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები, როგორც ცნობილია, ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

მძიმე ინდუსტრია ჩვენი ქვეყნის მთელი სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი საფუძველია. პარტიის ლენინური გენერალური ხაზი — მძიმე მრეწველობის უპირატესი ზრდის ხაზი მკაფიოდ არის გამოხატული 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში. ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ზრდა 1957 წელს გასულ წელთან შედარებით განისაზღვრება 7,1 პროცენტის ოდენობით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა — 7,8 პროცენტით და მოხმარების საშუალებათა წარმოების ზრდა — 5,9 პროცენტით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპებთან დაკავშირებით სამრეწველო პროდუქციის მატების ყოველი პროცენტი 1957 წელს მეტი ოდენობისა იქნება, ვიდრე ყოველ წინა წელიწადში. მიმდინარე წლის გეგმის დაწესებისას მთავრობა ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მითითებებით იმის შესახებ, რომ შეუწყნარებელია წარმოებისა და მშენებლობის დავალებათა ზედმეტი დაძაბულობა. ამიტომ სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია თუმცა დაძაბული, მაგრამ სავსებით რეალური და მატერიალურად უზრუნველყოფილი დავალებანი სამრეწველო პროდუქციის წარმოების დარგში.

სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად შენდება მიმდინარე წლის ბიუჯეტიც. სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაპროექტებულია შემოსავლის ნაწილში 614,8 მილიარდი მანეთის და გასავლის ნაწილში 603,8 მილიარდი მანეთის ოდენობით და შემოსავალი გასავალს 11 მილიარდი მანეთით აღემატება. 1956 წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი დიდდება თითქმის 32 მილიარდი მანეთით და გასავალი — 43 მილიარდი მანეთით. 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას.

საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ქვანახშირის, ნავთობის, ლითონის, სხვადასხვა მანქანების, ცემენტის და მძიმე მრეწველობის სხვა პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას, რაც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით. ამასთანავე გათვალისწინებულია შემდგომი განვითარება მსუბუქი და კვების მრეწველობისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა მზარდი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

1957 წელი ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმავლობისთვის ბრძოლის წელია. სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას საფუძვლად უდევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების 1956 და 1957 წლების სახელმწიფო გეგმა, რომელიც მთავრობამ 1955 წელს დაამტკიცა. ამასთანავე მხედველობაშია მიღებული ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის თხოვნა, აგრეთვე მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებანი რძის წარმოებაში.

პარტია და მთავრობა, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად ზრუნავენ სოფლის მეურნეობისათვის, სისტემატურ დახმარებას უწევენ მას. მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობაში გაიგზავნება ათასობით კვალიფიციური მუშაკი. გეგმით გათვალისწინებულია მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოიყოს 145 ათასი ტრაქტორი, დაახლოებით 135 ათასი მარცვლეულის კომბაინი და ბევრი სხვა ტექნიკა.

დიდი დავალებები დასახულია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარების საქმეში. ფართოვდება ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს თანამედროვე ტექნიკით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის აღჭურვის დარგში.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას კაპიტალური მშენებლობის დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა კაპიტალური მშენებლობის სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს ნაკლოვანებანი გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას, მით უფრო, რომ კაპიტალური მშენებლობის მოცულობა ჩვენში წლითიწლობით იზრდება. 1957 წლის გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობას 175 მილიარდი მანეთის ოდენობით (ახალ ერთიან შეფასებათა მიხედვით გადაუანგარიშებლად).

პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ საბინაო მშენებლობას. 1957 წელს დასახულია სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა, აგრეთვე სახელმწიფო კრედიტის დახმარებით მოსახლეობის სახსრების გამოყენებით აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი იქნება 46 მილიონი კვადრატული მეტრი, ანუ 28 პროცენტით მეტი, ვიდრე საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 1956 წელს. გარდა ამისა, სოფლად საცხოვრებელი სახლების დიდ მშენებლობას განახორციელებენ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამა ნათლად მოწმობს პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ამას მოწმობს აგრეთვე 1957 წლის გეგმით გათვალისწინებული საქონელბრუნვის გაფართოება და ბევრი სხვა ღონისძიება ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ასამაღლებლად.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების წყაროა სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდა. 1957 წელს დასახულია სულ ცოტა 8 პროცენტით გადიდდეს ნაციონალური შემოსავალი. ამას უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება და წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება. გეგმა ითვალისწინებს მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდებას მრეწველობაში 5,4 პროცენტით და მშენებლობაში — 8,5 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით 1957 წელს მიღებულ უნდა იქნას სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების დაახლოებით 80 პროცენტი. საჭიროა აგრეთვე მიღწეულ იქნას პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება.

ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი აღმავლობა და სულ უფრო იზრდება რესპუბლიკური ორგანოების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. იმ გარემოებამ, რომ კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, უზრუნველყო მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარება. ითვალისწინებენ რა ეროვნული კადრების ზრდას ადგილობრივი ინიციატივის ფართოდ განვითარების მიზნით, პარტიამ და მთავრობამ ამ უკანასკნელ წლებში განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის იმ საკითხთა წრის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის, რომლებიც უშუალოდ უნდა გადაჭრან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მძლავრ აღმავლობას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მიმდინარე წელს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავი. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა არა მარტო საბჭოთა ადამიანების, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში.

სოციალისტური წყობილება ნამდვილად ხალხური, ყველაზე დემოკრატიული წყობილებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული პრესა და რადიო დიდად მეცადინეობენ და ცდილობენ ჩირქი მოსცხონ სოციალისტურ წყობილებას, ისინი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთ ვერ დაუმალავენ იმას, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ხალხი თავისუფლად აშენებს თავის ცხოვრებას და რომ მისი კეთილდღეობა განუწყვეტლივ იზრდება. აი ამიტომ მთელი მსოფლიოს მშრომელების თვალი მოპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ და სოციალიზმის მთელი ბანაკისაკენ, რომელიც მძლავრ შუქურასავით უნათებს კაცობრიობას ბრწყინვალე მომავლის გზას.

საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რაზმავენ თავიანთ ძალებს, რათა მტკიცედ განახორციელონ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებანი. 1957 წლის გეგმის წარმატებით შესრულება ახალი დიდი წვლილი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

„პრავდის“ 7-II მოწინავე.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

## ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს 6 თებერვლის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ვ. ტ. ლაცისის** თავმჯდომარეობით, საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. მ. საფრონოვმა**.

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ, თქვა ამხ. საფრონოვმა, განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა, შეამოწმა სახელმწიფო ეკონომიური კომისიის, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება და გაანგარიშება პროექტირებული ღონისძიებებისა და მიაჩნია, რომ გეგმა შედგენილია სწორად და სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებს. საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს სახალხო-სამეურნეო გეგმა ზოგიერთი შესწორებით. წინადადება შემოგვაქვს გადიდდეს მთელი რიგი სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება დაახლოებით 1.400 მილიონი მანეთის საერთო თანხით.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს გადიდდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 2.306 მილიონი მანეთით, აქედან ბრუნვის გადასახადი 1.527 მილიონი მანეთით — საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის გადიდების გზით.

ამ შესწორებათა გათვალისწინებით, აცხადებს დეპუტატი საფრონოვი, წინადადება შემოგვაქვს დამტკიცდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამ საკითხზე კამათში პირველი გამოვიდა დეპუტატი **ჟ. ა. ტაშენევი** (ყაზახეთის სსრ). იგი ამბობს, რომ რესპუბლიკის მშრომელები იღებენ ღონისძიებებს, რათა მიმდინარე წელსაც მოიყვანონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, გააუმჯობესონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება. ახლა იქ წარმოებს მუშაობა მეცხვარეობის ახალი საბჭოთა მეურნეობების შესაქმნელად. ორატორი სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს წინაშე აყენებს საკითხს რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში შალის ქსოვილების საწარმოებისა და ხორცკომბინატების მშენებლობის შესახებ.

დეპუტატ ტაშენევს წინადადება შეაქვს დამტკიცდეს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც პროგრამა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

დეპუტატმა **ს. კამალოვმა** (უზბეკეთის სსრ) თავის სიტყვაში თქვა, რომ 1956 წელი იყო უზბეკეთის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობის წელი. რესპუბლიკის მრეწველობამ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან სახელმწიფოს ჩააბარეს 2.857 ათასი ტონა ნედლი ბამბა. სერიოზული წარმატებანი მოპოვებულია კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში.

დეპუტატი ს. კამალოვი შემდეგ ლაპარაკობს გადაუდებელ საკითხებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას მებამბეობაში. ეს შეეხება უწინარეს ყოვლისა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. საჭიროა დიდი მუშაობა ბამბის ასაღები არსებული მანქანების გასაუმჯობესებლად და ახალი ტიპების მანქანების შესაქმნელად.

დეპუტატი კამალოვიც გამოთქვამს აზრს — მოწონებულ იქნას სახალხო-სამეურნეო გეგმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი.

გამოდის დეპუტატი **მ. რაჰმატოვი** (ტაჯიკეთის სსრ). იგი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა. გარკვეული წარმატებები მოპოვებულია სოფლის მეურნეობაშიც, განსაკუთრებით მის წამყვან დარგში — მებამბეობაში. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1956 წელს ბამბის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

იგი სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს წინაშე აყენებს საკითხს სტალინაბადის საფეიქრო კომბინატის მეორე რიგის მშენებლობის დაჩქარების შესახებ. მეორე რიგის ამუშავებით კომბინატი ბამბის ქსოვილების წარმოებას წელიწადში გაადიდებს 42 მილიონი მეტრით.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. დ. ჩუბინიძეს** (საქართველოს სსრ). იგი გამოთქვამს რწმენას, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს ერთსულოვნად მოიწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მთელი საბჭოთა ხალხი. აღნიშნა რა, რომ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 102 პროცენტით შეასრულა, ამხ. ჩუბინიძე ამბობს, რომ მრეწველობის მუშაკებმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასანერგავად, მოწინავე ტექნიკის დასანერგავად.

გასული წლის განსაკუთრებით მძიმე კლიმატური პირობების მიუხედავად საქართველოში შესრულებულია ყურძნის, ჩაის, ციტრუსების, მატყლის დამზადების გეგმა, წველადობის გეგმა.

ეხება რა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებას, დეპუტატი ჩუბინიძე ამბობს, რომ საჭიროა უფრო ზუსტად დაიგეგმოს წარმოება და სწორად განლაგდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

დეპუტატმა **ა. მ. სპირიდონოვმა** (მარეთის ასსრ) ილაპარაკა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებასა და მუშაობაზე. ახლა მარეთის საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია შეჯიბრება იმისათვის, რომ 1957 წელს გაორკეცდეს რძისა და ხორცის წარმოება 1955 წელთან შედარებით, ესე იგი შეჯიბრება იმისათვის, რომ ხუთწლიანი დავალება ამ სახეობათა პროდუქციის წარმოების ზრდის დარგში შესრულდეს ორ წელიწადში.

ორატორი ამბობს, რომ ჯერ კიდევ ნელა ხდება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ზოგიერთი მასალა თვითმფრინავებით გადააქვთ. თუ რა ძვირად ჯდება ეს, ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს: იოშკარ-ოლის ერთ-ერთმა ქარხანამ 1956 წელს ავიატრანსპორტით ტვირთების გადატანის ასანაზღაურებლად დახარჯა 600 ათას მანეთზე მეტი — იმდენი, რამდენიც ღირდა თვითმფრინავებით გადაზიდული მთელი ტვირთი.

დეპუტატმა **ა. ე. გრასმა** (ლატვიის სსრ) ილაპარაკა, თუ რა შრომითი აღფრთოვანებით არიან გამსჭვალული ლატვიის დედაქალაქ რიგის საწარმოთა კოლექტივები. ვადამდე შესრულდა 1956 წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები და სახელმწიფომ მიიღო 400 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ქარხნებმა ყოველ წელიწადს ეუფლებიან ახალი ნაწარმის გამოშვებას, მიმდინარეობს ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების უფრო სრულყოფილი ხერხების დანერგვისათვის. ორატორმა ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყო ქარხანა „ვეფის“ მაგალითით, სადაც იგი 30 წელია მუშაობს. ქარხანა უშვებს კარგ რადიომიმღებებს, რადიოლებს, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურებს, სხვადასხვა აპარატურას. საწარმო განუწყვეტლივ უმჯობესდება. ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. შარშან დაინერგა 8.000 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი დაახლოებით 22 მილიონი მანეთია.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გუშინ გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ნ. ე. ავხიმოვიჩი** (ბელორუსიის სსრ), **ბ. ოვეზოვი** (თურქმენეთის სსრ), **ი. ს. ბელიაევი** (კარელიის ასსრ).

* * *

7 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. დეპუტატები ცალცალკე სხდომებზე იხილავდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმასა და 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს.

ეროვნებათა საბჭოს დილის სხდომაზე, რომელიც ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ **პ. ტ. კომაროვის** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, კამათში გამოვიდა დეპუტატი **ა. ი. მახნო** (ყირგიზეთის სსრ). მან ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც ყირგიზეთის მშრომელებმა მოიპოვეს. რესპუბლიკის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა გასულ წელს შეასრულა 105,7 პროცენტით, 12 პროცენტით გადააჭარბა რა 1955 წლის დონეს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მათ შორის მარცვლეულის, ბამბის, ხორცის, რძის, შაქრის ჭარხლის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. ჭარხლის მოსავლიანობის მხრივ ყირგიზეთი პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში.

ამხ. მახნო აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას: გაუმჯობესდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომარაგება სათადარიგო ნაწილებით, გაფართოვდეს მტს-ების სარემონტო ბაზების მშენებლობა და სხვ.

დასასრულ დეპუტატი ა. ი. მახნო მხარს უჭერს სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას.

დეპუტატი **ტ. ა. ტაიროვა** (აზერბაიჯანის სსრ) ახასიათებს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ბიუჯეტს. იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოკავშირე რესპუბლიკების განვითარებისათვის დიდძალ საწარმოთა გადაცემას მათ გამგებლობაში, რომლებიც წინათ საკავშირო დაქვემდებარებაში იყვნენ.

დეპუტატი ტაიროვა აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის მენავთობეებმა გასულ წელს გეგმის გადამეტებით ამოიღეს 210 ათასი ტონა ნავთობი. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით გაართვეს თავი სახელმწიფოსათვის ბამბის, მარცვლეულის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დავალებას.

დიდ წარმატებას მიაღწია უმაღლესმა განათლებამ. აზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 27 ათასზე მეტი კაცი. მაგრამ სასწავლო პროცესის ნორმალურ ორგანიზაციას აღიმიტებს სასწავლო შენობების ნაკლებობა. ორატორი აკრიტიკებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს იმისათვის, რომ იგი აჭიანურებს ს. მ. კიროვის სახელობის უნივერსიტეტის შენობის აგების საკითხის გადაჭრას.

დეპუტატმა **ზ. ვ. პანევმა** (კომი ასსრ) ილაპარაკა დიდ ცვლილებებზე, რაც რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა. აქ ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ქვანახშირის, ხე-ტყის, ნავთობის, გაზქვარტლისა და სხვა დარგები. მარტო უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მეურნეობის განვითარებაში დაბანდებულია 7 მილიარდ მანეთზე მეტი. 1956 წელს

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მშრომელთა სურვილების გათვალისწინებით, „ვ. ი. ლენინის ძეგლის — საბჭოების სასახლის საუკეთესო პროექტისათვის კონკურსის მოწყობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 13 აგვისტოს დადგენილების“ ნაწილობრივ შესაცვლელად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. გათვალისწინებულ იქნას საბჭოების სასახლისა და ვ. ი. ლენინის ძეგლის აგება ქალაქ მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში.

საბჭოების სასახლე აშენდეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის სამხრეთ-დასავლეთ ნაკვეთზე, ხოლო ვ. ი. ლენინის ძეგლი აიგოს უნივერსიტეტის ახალი შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლენინის გორის ცენტრში, მისი ქიმის მახლობლად.

2. მოეწყოს სრულიად საკავშირო კონკურსი ქალაქ მოსკოვში საბჭოების სასახლის საუკეთესო პროექტისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 13 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული პროგრამისა და პირობების მიხედვით, ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა გათვალისწინებით.

გაგრძელდეს კონკურსზე პროექტების წარმოდგენის ვადები 1957 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო კონკურსის შედეგების შესახებ წინადადებათა და რეკომენდაციათა წარმოდგენის ვადები — 1957 წლის 1 ოქტომბრამდე.

3. მოეწყოს სრულიად საკავშირო ღია კონკურსი ქალაქ მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში ვ. ი. ლენინის მონუმენტური ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის.

ღია კონკურსთან ერთად მოეწყოს დახურული კონკურსი და დაევალოს ვ. ი. ლენინის ძეგლის რვა-ათი პროექტის შესრულება თვალსაჩინო მოქანდაკეებსა და არქიტექტორებს.

4. დამტკიცდეს ქალაქ მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში ვ. ი. ლენინის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის კონკურსის პროგრამა და პირობები.

ვ. ი. ლენინის ძეგლის საუკეთესო პროექტებისათვის იმათგან, რომლებიც წარმოდგენილი იქნება სრულიად საკავშირო ღია კონკურსზე, დაწესდეს შემდეგი პრემიები:

პირველი პრემია — 75.000 მანეთი
ორი მეორე პრემია — თვითეული 50.000 მანეთი
სამი მესამე პრემია — თვითეული 25.000 მანეთი
ხუთი წამახალისებელი პრემია — თვითეული 10.000 მანეთი

5. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს, მოსკოვის საქალაქო აღმასკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირსა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირს მოაწყონ კონკურსი ქალაქ მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში ვ. ი. ლენინის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის.

დაწესდეს კონკურსზე პროექტების წარმოდგენის ვადა — 1957 წლის 1 აგვისტო.

6. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს წარმოადგინოს 1957 წლის 1 ოქტომბრისათვის წინადადებები და რეკომენდაციები ვ. ი. ლენინის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის კონკურსის შედეგების შესახებ.

7. სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა უზრუნველყონ საბჭოების სასახლის საუკეთესო პროექტისათვის კონკურსის მონაწილეთა ინფორმირება საბჭოების სასახლის აგების ადგილის შეცვლის შესახებ და დაუგზავნონ კონკურსის მონაწილეებს ტექნიკური დოკუმენტაცია ქალაქ მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში მშენებლობის ახალი ნაკვეთის შესახებ.

8. დაევალოს მოსკოვის საქალაქო აღმასკომს:

ა) შეიტანოს სათანადო კორექტივები ქალაქ მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთი რაიონის განაშენიანების დაგეგმვისა და პროექტის სქემაში იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ-დასავლეთ რაიონში განლაგდება საბჭოების სასახლე და ვ. ი. ლენინის ძეგლი, ამასთან გაითვალისწინოს ადგილი პანთეონის — საბჭოთა ქვეყნის დიდი ადამიანების მარადიული დიდების ძეგლის ასაგებად, აგრეთვე საბინაო მშენებლობის მოცულობის გადიდება ამ რაიონში;

ბ) უზრუნველყოს 1957 წელს მდინარე მოსკოვის კროპოტკინის სანაპიროზე იმ ნაკვეთის კეთილმოწყობა და გამწვანება, რომელიც წინათ გამოყოფილი იყო საბჭოების სასახლის მშენებლობისათვის.

# სსრ კავშირის სახმშენში, მოსკოვის საქალაქო აღმასკომში, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირსა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სსრ კავშირის სახმშენი, მოსკოვის საქალაქო აღმასკომი, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირი და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირი აცხადებენ სრულიად საკავშირო კონკურსს საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის.

ვ. ი. ლენინის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის სრულიად საკავშირო კონკურსის პროგრამა და პირობები ითვალისწინებენ შემდეგს:

1. ვ. ი. ლენინის ძეგლი აიგება ქალაქ მოსკოვში ლენინის გორის ცენტრში მისი ქიმის ახლოს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის და ლუჟნიკში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ღერძზე.

2. ვ. ი. ლენინის ძეგლი, როგორც მონუმენტური ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოები, სადა და დიდებული უნდა იყოს.

ვ. ი. ლენინის ქანდაკება, რომელიც აღიმართება კვარცხლბეკზე ქალაქ მოსკოვის ყველაზე მაღალ პუნქტში, კარგად უნდა ჩანდეს. ვ. ი. ლენინის ქანდაკების სიდიდე, ქანდაკების კვარცხლბეკის კომპოზიცია და ზომა უნდა დაადგინონ პროექტების ავტორებმა, რისთვისაც უნდა გაითვალისწინონ ძეგლის ადგილმდებარეობა და საუკეთესო პროპორციული შეხამება.

3. ვ. ი. ლენინის ძეგლის ასაგებად უნდა გამოიყენონ მაღალხარისხოვანი და გამძლე მასალა, როგორიც არის გრანიტი, მარმარილო, ბრინჯაო, უჟანგავი ფოლადი და სხვ.

4. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს სკვერის შექმნა ძეგლის გარშემო, ლენინის გორის მდინარე მოსკოვისაკენ დაქანებასთან შეხამება, აგრეთვე არსებული სატრანსპორტო მაგისტრალები, რომლებიც ამ ადგილას გადის ლენინის გორის ქიმის გაყოლებით.

ძეგლი ისე უნდა აიგოს ნაკვეთზე, რომ მოხერხებული დასანახავი იყოს და ვ. ი. ლენინის ქანდაკებას კარგად ანათებდეს მზე.

5. კონკურსის მონაწილენი ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტებს წარმოადგენენ შემდეგი შემადგენლობით:

გენერალური გეგმა — მასშტაბი 1:2000

ძეგლის პერსპექტიული ხედი—ზომით არაუმეტეს 1,0×1,5 მეტრისა

ძეგლის სკულპტურული მაკეტი — მასშტაბი 1:100

განმარტებითი ბარათი

სახარჯთაღრიცხვო-ფინანსური მოსაზრებანი.

6. კონკურსის პროექტები (ნახაზები, მაკეტები, ბარათები) ამ პროგრამით დაწესებული მოცულობით უნდა წარედგინოს მოსკოვის საქალაქო აღმასკომს (მოსკოვი, გორკის ქუჩა, სახლი № 13) 1957 წლის 1 აგვისტოს 24 საათამდე და ჩაბარდეს ქვითრით, რომელშიც აღნიშნული იქნება პროექტის დევიზი და ჩაბარების ვადა.

სხვა ქალაქების მცხოვრებმა ავტორებმა ამავე ვადაში უნდა ჩააბარონ თავიანთი მასალები ფოსტას აღნიშნული მისამართით გასაგზავნად, რაც ამავე დროს დეპეშით უნდა აცნობონ მოსკოვის საქალაქო აღმასკომს (მოსკოვი, მოსკოვის საქალაქო აღმასკომი), ამასთან აღნიშნონ დევიზი და ნომერი ქვითრისა საფოსტო განყოფილებაში პროექტის მიღების შესახებ.

პროექტის მასალები (ნახაზები, მაკეტები, ბარათები) წარდგენილ უნდა იქნას დევიზით; პროექტის მასალებს დაერთვის დაბეჭდილი კონვერტი იმავე დევიზით და პროექტის ავტორის გვარი და მისამართი.

7. ვ. ი. ლენინის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის კონკურსის ჟიურის ამტკიცებს სსრ კავშირის სახმშენი მოსკოვის საქალაქო აღმასკომის, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირისა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მონაწილეობით.

8. კონკურსის პროგრამისა და პირობების და იმ მასალების მისაღებად, რომლებიც ახასიათებენ ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების ადგილს, მიმართეთ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირს.

კონკურსის პროგრამის შესახებ კითხვები უნდა გაეგზავნოს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირში კონკურსის პასუხისმგებელ მდივანს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, შჩუსევის ქუჩა, სახლი № 7.

# ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

(დასასრული)

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება მიმდინარე 1940 წელთან შედარებით ერთიორნახევარჯერ გადიდდა. სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობა. ახლა აქ ცხოვრობს 2,5-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე 1940 წელს.

შემდეგ ამხ. ბაბეკი ლაპარაკობს საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის არსებულ სიძნელეებზე. ამასთან დაკავშირებით იგი აკრიტიკებს, კერძოდ, სსრ კავშირის ქალაქმშენებლობის სამინისტროს.

დეპუტატი ბაბეკი მხარს უჭერს წინადადებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

სიტყვას აძლევენ დეპუტატ მ. დ. კოვრიგინას — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს. იგი აღნიშნავს, რომ გასულ წელს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული. 1957 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები დაახლოებით 29,5 მილიარდ მანეთზე მეტი.

ცნობილია, ამბობს ამხ. კოვრიგინა, რომ ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის სერიოზულ საკითხს ჩვენს ქვეყანაში წარმატებით წყვეტენ.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის საქმემ, განაგრძობს შემდეგ ამხ. კოვრიგინა, დიდი წარმატებები მოიპოვა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას მოწმობს ტუბერკულოზით სიკვდილიანობისა და დაავადების მკვეთრად შემცირება. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საბჭოთა მეცნიერებთან ერთად ამუშავებს წინადადებებს ჩვენს ქვეყანაში ტუბერკულოზით დაავადების შემდგომი მკვეთრი შემცირებისათვის და დასამტკიცებლად წარადგენს მათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში.

დადგა დრო, ამბობს ამხ. კოვრიგინა, დღის წესრიგში დავსვათ ამოცანა: 15-20 წელიწადში მოვსპოთ ტუბერკულოზი როგორც გავრცელებული დაავადება — წარსულის ეს მძიმე მემკვიდრეობა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება.

— ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლის 40 წლისთავს აღვნიშნავთ მიმდინარე წლის შემოდგომაზე, — თქვა დეპუტატმა **გ. ა. მარტინოვმა** (ჩუვაშეთის ასსრ), არის ეროვნული საკითხის წარმატებით გადაჭრა. ჩუვაშმა ხალხმა, რომელმაც დიდი ოქტომბრის წყალობით მოიპოვა თავისი სახელმწიფოებრობა, აღზარდა მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ახლა ჩუვაშეთის სოფლებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება.

დეპუტატმა **ს. ხ. მატნიშიანმა** (სომხეთის სსრ) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ გასულ წელს წარმატებით შეასრულა გეგმა.

მეორე ხუთწლედის ბოლოს ერევნის ერბო-კარაქის კომბინატს შეუძლია წლიწადში გამოუშვას 12 ათასამდე ტონა ერბო-კარაქი, მიმდინარე წელს კი მას დაუგეგმეს მხოლოდ 6 ათასი ტონა.

ამხ. მატნიშიანი აკრიტიკებს აგრეთვე ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, რომელმაც ძლიერ გააჭიანურა სომხეთის ელექტროქარხნის მშენებლობა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. მატნიშიანმა განაცხადა, რომ სავსებით უერთდება სხვა დეპუტატების წინადადებებს 1957 წლის გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატმა **მ. ი. კოპტილნიკოვმა** (მოლდავეთის სსრ) ილაპარაკა ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს და რომელიც მსხვილ მრავალდარგოვან მეურნეობას წარმოადგენს. კოლმეურნეობას, რომელიც აერთიანებს თითქმის 1.500 კომლს, აქვს 6 ათას ჰექტარზე მეტი მიწა, მეცხოველეობის დიდი ფერმები, ბაღები, ვენახები. პირუტყვის ყველა სადგომში მოწყობილია ავტოსარწყულებლები, შემოღებულია ძროხების მექანიკური წველა. შარშან ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიღებულ იქნა 211 ცენტნერი რძე და 21 ცენტნერი ხორცი.

მხურვალედ იწონებს რა სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს, დეპუტატი აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ განვითარდეს მეცხოველეობა.

ორატორი ამბობს, რომ საჭიროა საკავშირო სამინისტროების ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ა. ა. მიურისეპს** (ესტონეთის სსრ).

ორატორს საჭიროდ მიაჩნია მოწესრიგდეს დაგეგმილი პროდუქციის განაწილება. ახლა მის მისაღებად მოკავშირე რესპუბლიკამ უნდა გაგზავნოს განაცხადები და გაანგარიშებანი, აგრეთვე დაიცვას ისინი მიმწოდებელი სამინისტროების დაახლოებით 50 გამსაღებელ ორგანიზაციაში, რომლებიც მოსკოვში არიან. ეს დაკავშირებულია რესპუბლიკური ორგანიზაციების საქმაოდ ბევრი მუშაკის ხანგრძლივი დროით გამგზავრებასთან ცენტრში. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მოკავშირე რესპუბლიკათა განაცხადების განხილვა ერთ ორგანიზაციაში.

დეპუტატი ა. ა. მიურისეპი კრიტიკულ შენიშვნებს აკეთებს საკავშირო სამინისტროების მიმართ. აი უკვე მთელი რიგი წლების მანძილზე ისტონეთის სამრეწველო საწარმოები ვერ ღებულობენ საჭირო მოწყობილობას.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **დ. მ. მაგომედოვი** (დაღისტნის ასსრ), **ა. ვ. სკვერნიაკი** (უკრაინის სსრ), **რ. ხ. ხაბიბულინა** (ბაშკირეთის ასსრ), **გ. ბ. ბაშიროვი** (თათრეთის ასსრ).

# ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

## ᲛᲔᲐᲕᲔᲯᲔᲗᲐ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის კოლექტივი ყოველწლიურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აფართოებს ასორტიმენტს და აუმჯობესებს ავეჯის ხარისხს. მეავეჯეებმა ერთსულოვნად მოიწონეს რუსთავის მეტალურგთა ინიციატივა, გაშალეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და თავის მხრივ იკისრეს 7 ნოემბრისათვის გამოუშვან 170.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, თვითღირებულების შემცირებით დაზოგონ 220.000 მანეთი, მიმდინარე წელს აითვისონ ოთხი ახალი სახის ავეჯის წარმოება. აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად კომბინატის კოლექტივმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი. მეავეჯეებმა იანვარში კარგად იმუშავეს, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,7 პროცენტით შეასრულეს, დავალების გადამეტებით 9.000 მანეთის მარტო ავეჯი დაამზადეს.

წარმატებების მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პიანინოს ამწყობმა შ. კაციტაძემ, გამკრიალებლებმა ე. მოტორნაიამ და ტ. დემიდოვმა, დურგლებმა ი. ღარიბაშვილმა, ს. გოჩაშვილმა და ა. კოსტილევამ, რომლებმაც დავალება 150-200 პროცენტით გაანაღდეს.



თბილისის ქარხანა „დაზგის" საამქროებში ფართოდ გაჩაღდა ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მოძრავი ხრახნის საამქროში საუკეთესო შრომით წარმატებებს აღწევს ხარატი მ. სადოვი, რომელიც დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ინჟინერი შ. ლაფაჩი (მარცხნივ) მ. სადოვს აცნობს ახალი დეტალის ნახაზს.

ფოტო შ. გოქაძისა.



საგარეჯოს მტს-ის მექანიზატორები ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რათა მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო სამუშაოებს.

საგარეჯოელმა მექანიზატორებმა ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება ვადამდე გაანაღდონ ტრაქტორების შეკეთების გეგმა. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ბრიგადირი შ. გორელაშვილი (მარცხნივ) და ა. ყორღანაშვილი მუშაობენ „დტ-54" მარკის ტრაქტორის ძრავას შეკეთებაზე.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

## ᲛᲔᲔᲚᲛᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲦᲓᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

თავდადებული შრომის შედეგად დეპოს კოლექტივმა იანვარში უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებები აღებული ვალდებულებების განაღდების საქმეში.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მძიმეწონოსნებმა. მათ 513 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 149.111 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. საშუალო სადღეღამისო გარბენა გეგმასთან შედარებით გაზარდეს 11 კილომეტრით.

შეჯიბრებაში დაწინაურდა მძიმეწონოსანი მემანქანე ა. კიკნაძე, რომელმაც 12 მატარებლით ნორმის გადამეტებით 5.457 ტონა სახელმწიფო ტვირთი გადაზიდა, საშუალო სადღეღამისო გარბენა გაზარდა 29 კილომეტრით, ხოლო ტექნიკური სიჩქარე საათში — 2 კილომეტრით. კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვთ მძიმეწონოსან მემანქანეებს გ. ბერუაშვილს, პ. არევაძეს, ნ. ავეტისოვს და ნ. გასიტაშვილს.

იანვრის გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს აგრეთვე მერემონტეებმა: ზეინკალმა ო. შავერდაშვილმა, ელექტროზეინკლებმა ლ. მოსემღვდლიშვილმა და ა. არშაკუნიმ, ხარატებმა რ. იაკოვლევმა და ქ. გვენცაძემ.

## ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საქ. კორ.). აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივმა თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით დაძლია გასული წლის ჩამორჩენა, 102,3 პროცენტით შეასრულა 1957 წლის იანვრის საწარმოო გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათობით ტონა მინერალური სასუქი. რუსთავის ქიმიკოსთა მუშაობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა საწარმოო დავალება სრული ციკლის მიხედვით შესრულდა. ქიმიკოსები წარმატებით მუშაობენ თებერვალშიც.

განსაკუთრებით დაწინაურდა ამონიუმის გვარჯილის საამქროს ცვლა, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი მ. კაპანაძე ხელმძღვანელობს. ცვლის ქიმიკოსებმა იანვრის გეგმა 110,3 პროცენტით გაანაღდეს. წარმატების მოპოვებაში ნაყოფიერი წვლილი მიუძღვით მეაპარატე ნ. ივანუშკინს და სატუმბავ დანადგარზე მომუშავე ა. პილიპკოს.

რუსთავის მეტალურგთა მოწოდების პასუხად აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და იკისრა გადიდებული საწარმოო ვალდებულებები: 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.000 ტონა მინერალური სასუქი, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 1,5 პროცენტით და შარშანდელთან შედარებით ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების ხარჯვა შეამციროს 10 პროცენტით.

*ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ*

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის პირობებში. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის ღირსეულად შესახვედრად, მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა ვადაზე ადრე და წარმატებით შესრულებისათვის.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამ და სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირში მჭიდროდ დარაზმა ყველა ხალხები ერთიან ძმურ ოჯახში, უზრუნველყო საბჭოთა საზოგადოების ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და შექმნა ყველა პირობა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

სოციალისტური დემოკრატია გამოხატავს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანების ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას, საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა მშრომელის, ხალხებისა და ერთვნებათა თავისუფლებასა და თანასწორობას. იგი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება სსრ კავშირში არსებულ საარჩევნო სისტემაში. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევნები — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომდე წარმოებს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მთელი საარჩევნო სისტემა ემსახურება კაპიტალისტთა კლასობრივ ინტერესებს. ფართოდ დეკლარირებული საყოველთაო საარჩევნო უფლება სინამდვილეში უმცირესობის უფლებით შემოიფარგლება, ექსპლოატატორთა ინტერესებს იცავს. ბურჟუაზია მიმართავს სხვადასხვა საშუალებებს, რათა არ დაუშვას ხალხთა ფართო მასების მონაწილეობა არჩევნებში: მთელი რიგი საარჩევნო ცენზები, არჩევნების ორგანიზაცია, კანდიდატების წამოყენების წესი და სხვა მრავალი ამ მიზანს ემსახურება.

მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოშია შესაძლებელი ხალხთა ნების ნამდვილი და თავისუფალი გამოხატულება. იქ, სადაც ხელისუფლება ხალხის ხელშია, საარჩევნო კანონებიც მშრომელთა მისწრაფებებსა და ინტერესებს გამოხატავენ.

საბჭოთა სახელმწიფოში არ არსებობს მოსახლეობის არც ერთი ჯგუფი, რომელიც არ მონაწილეობდეს ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში. სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, დამოუკიდებლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას ყოველი მოქალაქე 23 წლის ასაკიდან, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატად—21 წლიდან და ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად 18 წლიდან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ შეშლილებს და იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული არიან საარჩევნო უფლების ჩამორთმევით. საბჭოთა კანონები სჯიან იმათ, ვინც მუქარით, მოტყუებით ან მოსყიდვით ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს მოქალაქეებს საარჩევნო უფლების განხორციელებაში.

სსრ კავშირის კონსტიტუცია, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და საარჩევნო კანონები ითვალისწინებენ ყველა აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყონ შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო უბნები ისე არის მოწყობილი, რომ ამომრჩეველს შორს წასვლა არ მოუხდეს. საარჩევნო უბნები იქმნება როგორც მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, ისე საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, გემებზე, სამხედრო ნაწილებში, ჯარის შენაერთებში და სხვ. საარჩევნო კანონი აწესებს ამომრჩეველთა სიების შედგენის უბრალო და მეტად დემოკრატიულ წესს. თვითეულ მოქალაქეს, რომელიც საარჩევნო უფლებით სარგებლობს, გარანტირებული აქვს თავისი გვარის შეტანა საარჩევნო სიაში.

ასე, საბჭოთა კავშირში საქმით ხორციელდება საყოველთაო საარჩევნო უფლება. და საბჭოთა მოქალაქეები, ჩვენი დიადი სამშობლოს ნამდვილი ბატონ-პატრონები, ფართოდ, აქტიურად იყენებენ ამ უფლებას. ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში არსებითად მონაწილეობს ხმის უფლების მქონე თითქმის ყველა მშრომელი. ადგილობრივი საბჭოების წინა არჩევნებზე 1955 წელს თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 99 პროცენტზე მეტმა ამომრჩეველმა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საარჩევნო უფლება არ არის და არც შეიძლება იყოს საყოველთაო. მმართველი კლასი საარჩევნო კანონებით, მთელი რიგი საარჩევნო ცენზებით და სხვა მრავალი შეზღუდვით ცდილობს არჩევნებს ჩამოაცილოს მოსახლეობის უფართოესი ფენები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არის 50-მდე სხვადასხვა ცენზი, რომელთა საშუალებით მილიონობით ამომრჩეველს დაკარგული აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მშრომელებისათვის საარჩევნო უფლების წართმევის მიზნით ფართოდ არის გამოყენებული ბინადრობის ცენზი, რომლის საფუძველზე ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობენ განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამ ცენზის საშუალებით ბურჟუაზია არჩევნებს აშორებს უმუშევართა და სეზონურ მუშათა მნიშვნელოვან რიცხვს, რომლებიც იძულებული არიან სამუშაოს მოსაძებნად ხშირად იცვალონ ადგილმდებარეობა. განათლების ცენზი უფლებას ართმევს მილიონობით უბრალო ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. კაპიტალისტურ სამყაროში გამოყენებულია ქონებრივი ცენზი. ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ქალებს არა აქვთ უფლება აირჩიონ და არჩეულ იქნან წარმომადგენლობით ორგანოებში. ეშინია რა მშრომელი ახალგაზრდობისა, რომელიც პროლეტარიატის ყველაზე აქტიურ ძალას წარმოადგენს, ბურჟუაზია ცდილობს მაღალი ასაკობრივი ცენზის შემოღებით ჩამოაცილოს ისინი პოლიტიკურ ცხოვრებას. გარდა ამისა, ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებში არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ სამხედრო პირებსაც.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელიც მეტყველებს მის ნამდვილ დემოკრატიულობაზე, წარმოადგენს ყველასათვის თანასწორი საარჩევნო უფლება. ეს უფლება ჩვენში გარანტირებულია იმით, რომ თვითეულ მოქალაქეს მხოლოდ ერთი ხმა აქვს და არჩევნებში თანაბარ საფუძველზე მონაწილეობს. საბჭოებში ერთნაირ საფუძველზე ირჩევენ და აირჩევიან მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ჩვენს კანონმდებლობაში განსაკუთრებით ხაზგასმულია და საქმით მტკიცედ ხორციელდება მამაკაცებთან ქალების თანასწორობის პრინციპი.

საბჭოთა კონსტიტუციით ამომრჩეველთა ინტერესების შესაბამისად დაწესებულია პირდაპირი არჩევნები. სსრკ მოქალაქეები პირდაპირ, უშუალოდ ირჩევენ დეპუტატებს ყველა საბჭოში სსრკ უმაღლესი საბჭოს ჩათვლით. პირდაპირი არჩევნები აძლიერებს ხელისუფლების ორგანოთა კავშირს ხალხთა მასებთან. ამომრჩევლები ეცნობიან ცხოვრებასა და მოღვაწეობას დეპუტატობის კანდიდატებისას, რომლებსაც ისინი ნდობას უცხადებენ. პირდაპირი არჩევნები წარმოადგენს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდის, სახელმწიფო საქმეების განხილვაში მათი მონაწილეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის ნამდვილი დემოკრატიულობის გამოხატულებაა დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენების წესი. ამ უფლებით სარგებლობენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებები, ისე მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების საერთო კრებები. ამრიგად, მეტად ფართო მასები მონაწილეობენ დეპუტატების წამოყენებაში და მათი კანდიდატურების განხილვაში. დეპუტატობის კანდიდატად წამოყენების ასეთი წესი იმის გარანტიაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეულ იქნან ისეთი ადამიანები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება ხალხისადმი. სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში ირჩევენ მოწინავე მუშებს, საკოლმეურნეო სოფლის გამოჩენილ ადამიანებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს, საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო შვილებს, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით და შესწევთ უნარი ცხოვრებაში გაატარონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მმართველი კლასები საარჩევნო კამპანიის პერიოდში ფართოდ იყენებენ შანტაჟს, ამომრჩეველთა მოსყიდვას, აშკარა ტერორს, რათა წარმომადგენლობით ორგანოებში არ დაუშვან პროგრესული რწმენის ადამიანთა არჩევა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში საარჩევნო კამპანიების პრაქტიკა კიდევ ერთხელ ამტკიცებს დიდი ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურ სამყაროში მშრომელ მასებს ათასგვარი ხრიკებით აცილებენ პოლიტიკურ ცხოვრებას, დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას.

საბჭოთა საარჩევნო კანონი უზრუნველყოფს ხმის მიცემის სრულ საიდუმლოებას, რაც წარმოადგენს ხალხის ნამდვილი ნების გამოხატულების მტკიცე გარანტიას.

სსრკ კონსტიტუციის და საარჩევნო დებულების ფართოდ გაცნობა ამომრჩევლებისათვის, არჩევნების ჩატარება არასამუშაო დღეს, ამომრჩეველთა სიების დროულად გამოქვეყნება, საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვა საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე, არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ხარჯების გაღება სახელმწიფოს მიერ, — ყველა ეს და სხვა ამგვარი ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ თვითეულ ამომრჩეველს ნამდვილად მიეცეს შესაძლებლობა განახორციელოს თავისი უფლებები, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელება, — აღინიშნული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, — მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებასთან, მშრომელთა მეტი რაოდენობით ჩაბმასთან სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომ განვითარებასთან.

სსრ კავშირში ჩატარებული ყველა არჩევნები წარმოადგენენ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარების ახალ ნაბიჯს, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების უდიდეს დემონსტრაციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველა არჩევნებში გამოდის ერთიან ბლოკში უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან. მომავალ არჩევნებში ჩვენი ქვეყნის მშრომელები, თავიანთი სამშობლოსადმი პატრიოტული სიამაყის გრძნობით გამსჭვალულნი, კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცედ დარაზმულნი, ხმას მისცემენ და ადგილობრივ საბჭოებში აირჩევენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებს, ხმას მისცემენ პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, მდიდარ, კულტურულ და ბედნიერ ცხოვრებას.

**მ. ლეკვეიშვილი,**
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

პრესის მიმოხილვა

# გაზეთი და საგაზაფხულო თესვისათვის მზადება

[illegible]

...შაოების მომზადებისა და ორგანიზებულად დაწყებისაკენ უნდა წარვმართოთ... შრომის სწორი ორგანიზაცია, არსებული რეზერვების გამოვლინება და რაციონალურად გამოყენება, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა დასახული ამოცანის განხორციელების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა", — წერს გაზეთი ახლახან გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში სათაურით „სანიმუშოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის". ამავე წერილში მინდვრის სამუშაოების დაწყებისათვის მზადების საქმეში მოპოვებულ ზოგიერთ მიღწევასთან ერთად ლაპარაკია იმაზე, რომ რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა კონდიციური თესლით მომარაგების საქმეს. როგორც გაზეთი წერს, ჯერ კიდევ იანვრის მეორე ნახევრისათვის რაიონში გაზაფხულის ხორბლის 1.260 ცენტნერიდან კონდიციურია მხოლოდ 260 ცენტნერი, ქერის თესლიდან უკონდიციოა 1.198 ცენტნერი, ხოლო სიმინდის სათესად განკუთვნილი 1.351 ცენტნერი თესლი მთლიანად უკონდიციოა. საგაზაფხულო კულტურების თესლით მომარაგების, კონდიციამდე აყვანისა და შემოწმების საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის გაკრიტიკებული არიან სოფლების სასარეთის, ატოცის, ბრეძის, თამარაშენის, ავლევის, ურბნისის და სხვა კოლმეურნეობები. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნელი ტემპით აწარმოებენ მემინდვრეობის ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტებას, არ აჩქარებენ წვრილი ინვენტარის შეკეთებას და სხვ.

რედაქციას კარგად აქვს შეგნებული, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს საკოლმეურნეო წარმოების განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით. გაზეთის ფურცლებზე თანმიმდევრულად არის გაშუქებული რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მექანიზატორების საქმიანობა, ნაჩვენებია, რო-

[illegible]

...მატებებს, რა ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში.

გაზეთი სწორად იქცევა თავის ფურცლებზე რომ ბეჭდავს კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის განმაზოგადებელ წერილებს, რომლებშიც ნაჩვენებია, როგორ რაზმავენ ისინი კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს საგაზაფხულო თესვისა და მინდვრის სამუშაოების შეუფერხებლად დაწყებისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა ქარელის მტს-ის პარტბიუროს მდივნის ა. მეტრეველის წერილი, რომელიც 18 იანვრის ნომერში პარტიული ცხოვრების რუბრიკით არის გამოქვეყნებული.

უკანასკნელ ნომრებში გაზეთი ფართოდ აშუქებს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებს. აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებულ წერილებში მკითხველთა ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის შედეგად გამოწვეული შრომითი აქტივობის ზრდა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

ამასთან „ქარელის კოლმეურნეს" ნაკლოვანებებიც აქვს. ცალკე წერილები, რომლებიც მიძღვნილია ნაკლოვანებათა მხილებისადმი, მოკლებულია კონკრეტულ კრიტიკას. დადებითი გამოცდილების ამსახველი ზოგიერთი მასალა კი ზოგადია, მათში სჭარბობს ინფორმაციული ხასიათის ცნობები, სტატისტიკური მონაცემები, არ არის საფუძვლიანად ნაჩვენები მოწინავეთა მუშაობის მეთოდები და ხერხები.

საგაზაფხულო თესვისათვის კარგად მომზადება და მისი ორგანიზებულად ჩატარება უმნიშვნელოვანესი სამეურნეო კამპანიაა. ადგილობრივი გაზეთების უპირველესი მოვალეობა ახლა ის არის, რომ დაეხმარონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში.

## წერილები რედაქციას

### ახალსოფლელები მოითხოვენ

სოფელი ახალსოფელი მეშახტეთა ქალაქ ტყიბულიდან 7 კილომეტრით არის დაშორებული. ამ სოფლის მრავალი მკვიდრი ენერგიულად მუშაობს ტყიბულის შახტებში. ქვანახშირის ამოღების ფრონტზე ისინი კიდევ უფრო ნაყოფიერად იშრომებდნენ, რომ ტყიბულსა და ახალსოფელს შუა გზის გავლა ყოველდღე ფეხით არ უხდებოდეთ.

საქმე ის არის, რომ ტყიბულჰესის წყალსაცავის ავსების გამო ეს სოფელი მოსწყდა ქალაქს. ახლა ახალსოფელზე გავლით არც მატარებლები, არც ავტომანქანები არ მოძრაობენ.

ახალსოფლელებმა არაერთხელ მიმართეს „სოიუზტრანსის" ტყიბულის კანტორას ტყიბულსა და ახალსოფელს შუა საავტომობილო მარშრუტის დაწესების შესახებ, მაგრამ ავტოტრანსის ხელმძღვანელები ავტობუსების სიმცირეს იმიზეზებენ.

ამ საკითხის მოგვარებაში მოველით საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს დახმარებას.

ახალსოფლის მცხოვრებლები: **ა. ქასრაძე,**
პენსიონერი მეშახტე, სოციალისტური შრომის გმირი,
**ა. დიაკონიძე,**
**ა. ქათამაძე.**

### გვესაჭიროება სახელმძღვანელოები

დიდი ამოცანები დგას სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების წინაშე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების დარგში. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, სადაც წელს პირველად მოხდება ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოშვება.

იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდები ღრმად დაეუფლონ ბუნების უდიდეს გარდამქმნელ მიჩურინულ მოძღვრებას, საჭიროა უზრუნველვყოთ ისინი სათანადო სასოფლო-სამეურნეო სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისათვის გათვალისწინებული ბევრი სახელმძღვანელო 10-15 წლის მანძილზე არ გამოცემულა, ზოგიც დიდი ხანია მოძველდა, მაგრამ ამ მდგომარეობისათვის ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია. ბიბლიოთეკებში იშვიათად თუ იშოვნით აკადემიკოს ტ. კვარაცხელიას „სუბტროპიკულ მეხილეობას", გ. ხუციშვილის „სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურებს". დღემდე არ მოიპოვება სახელმძღვანელო ენტომოლოგიაში, ფიტოპათოლოგიაში, მცენარეთა სელექციაში, მეჩაიეობაში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკასა და ორგანიზაციაში, მეფუტკრეობაში და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

დროა დაინტერესდნენ სახელგამი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სამმართველო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში საჭირო სახელმძღვანელოების გამოცემით.

**ი. ხაზარაძე,**
ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი.



## ქალაქ ქუთაისში

ყოველწლიურად ფართოვდება და ლამაზდება საქართველოს მეორე ინდუსტრიული ქალაქი — ქუთაისი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქალაქში აშენდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, კლუბები, სკოლები, მუშათა საცხოვრებელი სახლები. გაშენდა ახალი ბაღები და სკვერები. გაფართოვდა და კეთილმოწყობილი გახდა ქუჩები, დაირგო მრავალი ათასი მარადმწვანე ფოთლოვანი ხე.

გასული წლის ბოლოს სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის ქალაქის განაპირა უბანში დამთავრდა ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და კეთილმოწყობა. ეს ადგილი წინათ წარმოადგენდა ჭაობიან ადგილს, ახლა კი იგი კეთილმოწყობილია, გაყვანილია ქუჩა, რომელიც გორის სახელწოდებას ატარებს, მუშაობს ტროლეიბუსი, რომლის ხაზის საერთო სიგრძე 12 კილომეტრს უდრის. იგი ამ ახალ უბანს ქალაქის მთავარ ქუჩებთან — ლენინისა და სტალინის ქუჩებთან აკავშირებს.

* * *

სურათზე: სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლები გორის ქუჩაზე.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

## ქალაქის ტრანსპორტი უკეთ უნდა მუშაობდეს

დაღამდა. ქალაქში ელექტროლამპიონები აკიაფდნენ. რუსთაველისა და ვაჩნაძის ქუჩების კუთხეში, გაჩერებასთან მგზავრები მოუთმენლად ელიან 8-ა მარშრუტის ავტობუსს. დანიშნულ დროზე, 18 საათსა და 40 წუთზე, ქშენით მოვიდა სასურველი ავტობუსი. ლენინის სახელობის მოედანი — მექანიკური ქარხანა, ვკითხულობთ მანქანის ტრაფარეტზე. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ...

— წავა მანქანა? — ეკითხებიან მგზავრები მძღოლს.

— არა. შემცვლელი არა მყავს. გარაჟში უნდა წავიდე.

მგზავრებმა ახლა დისპეტჩერს მიმართეს, მან „დაამედა" — ერთ საათში მეორე ავტობუსი მოვაო (ამ მარშრუტზე ორი ავტობუსი მუშაობს). ასეთ ფაქტს მიმდინარე წლის 24 იანვარს ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

7 იანვარს საღამოს თბილისის რკინიგზის სადგურის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან მგზავრებს მოეყარათ თავი.

— დიდი ხანია ელოდებით № 26 ავტობუსს? — კითხულობდნენ ახალმოსულები.

— დიახ, — უპასუხებდნენ სიცივისაგან მობუზული მგზავრები. ისინი სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამდნენ ავტობუსის დაგვიანების გამო. მათი ლოდინი ამაო იყო, რადგან ამ დღეს საღამოს 10 საათის შემდეგ № 26 მარშრუტის ავტობუსები აღარ მუშაობდნენ.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ზამთრის პერიოდში თბილისის მშრომელებს ტრანსპორტით მომსახურების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები. თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორამ ვერ უზრუნველყო ავტობუსების შეუფერხებელი მუშაობა. თოვლიან დღეებში 175 ავტობუსის ნაცვლად 80-90 მუშაობდა.

სამართლიანი პრეტენზიები აქვთ ლენინის რაიონის მცხოვრებლებს ქალაქის ავტოსატრანსპორტო კანტორას მიმართ, რადგან № 18 მარშრუტის ავტობუსები რეგულარულად არ მუშაობენ. ერთ დღეს 9 მანქანა მუშაობს, მეორე დღეს — 6, მესამე დღეს — 5 და ა. შ., ხოლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ ამ რეისზე ყოველდღიურად 12 ავტობუსმა იმოძრაოს.

ასევე არადამაკმაყოფილებელია ქალაქის ერთ-ერთი დიდი რაიონის, საბურთალოს მცხოვრებთა ტრანსპორტით მომსახურება. საბურთალოში სწრაფად იზრდება მცხოვრებთა რაოდენობა, ავტობუსებისა და ტროლეიბუსების არსებული მარშრუტები კი მათ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ქალაქში ხშირად ირღვევა ტროლეიბუსების ნორმალური მოძრაობის გრაფიკი, რის გამო ტროლეიბუსის გაჩერებასთან არც თუ იშვიათად იქმნება რიგები.

ყოველთვის არ სრულდება ტროლეიბუსსა და ავტობუსში ჩასხდომისა და გადმოსვლის წესები. მგზავრების დიდი ნაწილი უკანა ბაქნიდან ჩამოდის, რაც ტრანსპორტში ჩასხდომას აფერხებს. ამას ყურადღებას არ აქცევენ კონდუქტორები და მილიციის მუშაკები.

ქალაქის ტრანსპორტის მომსახურე პერსონალი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მინდობილ საქმეს. ავტობუსის მძღოლები ცვლის მიღებისას ზოგჯერ მანქანას ყოველმხრივ არ ამოწმებენ. საბურთალოსაკენ მიმავალი მგზავრებით დატვირთული № 2 მარშრუტის ავტობუსი (ГО 88-03) რუსთაველის ძეგლთან გაჩერდა. მძღოლმა მგზავრებს ამცნო, რომ ბენზინის უქონლობის გამო გზას ვეღარ განაგრძობდა და ურჩია სხვა მანქანაში გადამსხდარიყვნენ. ეს მოხდა 9 იანვარს 17 საათსა და 40 წუთზე.

არის შემთხვევები, რომ კონდუქტორებს სამუშაოზე გასვლისას ხურდა ფულით არ ამარაგებენ. ამ ამბავმა განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელ ხანებში.

— ხურდა არა მაქვს, ბილეთს ვერ მოგცემთ, — ხშირად გაისმის კონდუქტორების პასუხი. ეს კი ხელს უწყობს უბილეთოდ მგზავრობას. ზოგჯერ ავტობუსის კონდუქტორები იძულებული არიან მაღაზიებში დაახურდაონ ფული, რაც გრაფიკის დარღვევას იწვევს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტობუსებში არ არის გაკრული მარშრუტის სქემა და ტარიფი, რომელზეც აღნიშნული იქნება ბილეთის ღირებულება ერთი უბნიდან მეორემდე.

თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორამ და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მეტი ყურადღება მიაქციონ თბილისის მცხოვრებთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას, იბრძოლონ იმისათვის, რომ ქალაქში მტკიცედ იქნას დაცული ტრამვაი-ტროლეიბუსებისა და ავტობუსების მოძრაობის გრაფიკი.

**მ. ჭიჭინაძე.**

## შეტყობინება მოგებათა შესახებ

რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ სარგებლობენ სახელმწიფო სესხების მოგებათა დაუსწრებელი შემოწმების ბიუროს მომსახურებით. ეს ბიურო შექმნილია საქართველოს სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოსთან. აქ გახსნილია მოგებათა დაუსწრებელი შემოწმების 34.000-ზე მეტი ბარათი.

მოგებათა დაუსწრებელი შემოწმების ბარათების შეძენა შეიძლება ყოველ შემნახველ სალაროში. თითეულ ობლიგაციაზე შეივსება ცალკე ბარათი, სადაც აღინიშნება სესხის მფლობელის მისამართი, სესხის სახელწოდება და ობლიგაციის სერია. ბარათები იგზავნება მოგებათა შემოწმების ბიუროში, რომელიც ამოწმებს ყველა ტირაჟს და მოგების შესახებ ატყობინებს სესხის მფლობელებს.

სესხის მფლობელები, რომლებიც სარგებლობენ მოგებათა შემოწმების ბიუროს მომსახურებით, თავიდან იცილებენ ყოველი ტირაჟის შემდეგ მოგებათა ან დაფარვის ცხრილში თავიანთი ობლიგაციების პირადად შემოწმების აუცილებლობას. მარტო 1956 წელს მოგებათა შემოწმების ბიურომ სესხის მფლობელებს გაუგზავნა 1.325 შეტყობინება მოგებათა შესახებ, რაც საგრძნობლად აღემატება წინა წელს გაგზავნილ შეტყობინებათა რაოდენობას.

## ახალი მაღაზიები, სასადილოები, საწყობები

გურჯაანი. (საკ. კორ.). შარშან გურჯაანში, შრომაში და ახაშენში სოფლის მაღაზიებისათვის ახალი, ლამაზი შენობები აშენდა. ბაკურციხეში სასადილო გაიხსნა ახლადაგებულ შენობაში. გურჯაანსა და ველისციხეში ააგეს კოოპერატივების გამგეობებისათვის ორსართულიანი კანტორები. გურჯაანში გაიხსნა საფუნთუშე, დამთავრდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის ორსართულიანი საწყობების მშენებლობა. სულ ამ ობიექტების მშენებლობაზე დაიხარჯა 2.250 ათასზე მეტი მანეთი.

კოოპერაციულ ნაგებობათა მშენებლობაზე თითქმის ამდენივე დაიხარჯება წელსაც. აგებულ იქნება ახალი მაღაზიები კარდანახსა და ზეგანში, სასადილოები — ალაზნის ხიდთან და სოფელ ვაზისუბანში. რაიონის ცენტრში შენდება სამსართულიანი რესტორანი, რომელიც 1 მაისისათვის გაიხსნება.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფლკორი რედაქციას ატყობინებდა სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს კოოპერატივში ფასების დამახინჯების ფაქტებს.

სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ასათიანი გვწერს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. საკითხი განიხილა საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის ბიურომ. საჯავახოს სოფლის კოოპერატივის საკომისიო მაღაზიის გამგე დიდიძე ფასების დამახინჯებისათვის მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში. სამუშაოდან მოხსნილია და მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს გ. კახიანს, რომელიც კონტროლს არ უწევდა საკომისიო მაღაზიას. საჯავახოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. თარგამაძეს პარტიული სასჯელი დაედო.

# მაქსიმალურად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის რეზერვები

### მკითხველთა წერილების მიმოხილვა

მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს დიდი მუშაობა მოელით. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას და მისი მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მიმდინარე წელს ყველა კულტურის ბარაქიან მოსავალს, ამასთან მივაღწიოთ მეცხოველეობის მკვეთრ აღმავლობას.

ამ საჭირბოროტო საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას ჩვენი მკითხველები რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილებში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კარგად მომზადება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მექანიზატორთა საღვისო გადაუდებელი საქმეა. ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ წითელწყაროელთა მოწოდებას და ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის. სოფლკორი **ნ. რაზმაძე** გვატყობინებს, რომ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელმა მტს-მა ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა. დავალებებს კარგად ასრულებენ რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტები ივანე და სულიკო შარამაშვილები, ა. ქველაძე, ნ. ჩუთლაშვილი, ა. ნატროშვილი, შ. ქმუტაშვილი, რ. გოზალიშვილი. მტს-ის მექანიზატორები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს წარმატებით შეასრულონ წლიური დავალება რემონტის დარგში.

აბაშის მტს-მა, — გვაცნობებს ჩვენი გაზეთის მკითხველი **ი. თოფურია**, — გადაჭარბებით შეასრულა გასული წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. მექანიზატორები მზად ხვდებიან გაზაფხულს. ტრაქტორების რემონტის საქმეში თავი ისახელეს ქ. შუბლაძის და ო. სტორჩაკის სატრაქტორო ბრიგადებმა, მექანიზატორებმა ბ. მაღნარაძემ, ვ. კაჭარავამ.

წალკის რაიონიდან ინჟინერი **ლ. ღულუნიშვილი** იწერება, რომ ტრაქტორების რემონტი წინასწარ შედგენილი გრაფიკით წარმოებს. ეს იძლევა ძალების სწორად განაწილების საშუალებას. ზოგიერთი მექანიზატორი პირნათლად ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის იმ სატრაქტორო ბრიგადებზე, რომლებსაც კულაიჩევი, იანაკოვი და ოგუბოვი ხელმძღვანელობენ.

სიმინდი ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურაა. სადაც სიმინდის მოყვანის აგროტექნიკას იცავენ, იქ მოსავლიანობასაც ზრდიან. სოფლკორი **ვ. ქარქაშაძე** გვწერს:

თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ სიმინდს კარგად მოუარა და შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 15 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. სიმინდის მოსავლის გადიდების გეგმა მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს კოლმეურნეებმა გ. არეშიძემ, გ. გურგენიძემ, ო. ხუჯაძემ, ა. გურგენიძემ, ი. ბებიაშვილმა, ი. ოქრუაძემ, ა. კირკიტაძემ. კოლმეურნეობა გულმოდგინედ ემზადება გაზაფხულზე სიმინდის დასათესად. მინდვრად ეზიდება სასუქებს, სათესლედ გამოყოფილია საუკეთესო ხარისხის თესლი".

ჩვენი გაზეთის მკითხველი **ნ. ჯინჯიხაძე** იტყობინება, რომ ტყიბულის რაიონის სოფელ კოკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც დ. ქირათელიძე ხელმძღვანელობს, 22 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შარშან მიიღო 13,5 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერისა. ბრიგადა მზად არის მინდვრის სამუშაოებისათვის და ვალდებულება იკისრა გადამეტებით შეასრულოს მოსავლიანობის გეგმა.

# რა უშლის ხელს ცხვრის ნორმალურად გამოზამთრებას

დიდია შირაქის საზამთრო საძოვრების მნიშვნელობა საქართველოს მეცხვარეობის რაიონებისათვის. აქ სისტემატურად იზამთრებს წითელწყაროს, სიღნაღის, თელავის, კაჭრეთის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის და ზოგიერთი სხვა რაიონის ცხვარი. მაგრამ ამ საძოვრების არსებობის დიდი ხნის მიუხედავად დღემდე მხოლოდ რამდენიმე კოლმეურნეობამ გადადგა პირველი ნაბიჯები აქ მეცხვარეობისათვის კეთილმოწყობილ ნაგებობათა ასაშენებლად. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ საძოვრებზე ააშენა ორი სტანდარტული ტიპის ფარეხი და მწყემსთა საცხოვრებელი სახლი. კარგად მოაწყეს ფარეხები ამავე რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის და სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობებმა. ფარეხებისა და მწყემსთა საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი ტიპური პროექტების მიხედვით არის აშენებული ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმებშიც. თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავემ" მწყემსებისათვის ააშენა ქვიტკირის საცხოვრებელი სახლი და პურის საცხობი. ეს არის და ეს. რაც შეეხება ჩვენ მიერ ადგილზე დათვალიერებულ დანარჩენ 200-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ფარეხსა და მწყემსთა საცხოვრებელ სახლებს, ისინი პრიმიტიულია და ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს.

მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის 1-1,5 მეტრ სიმაღლის მიწურ ფარეხში შესვლა და იქ დგომა შეიძლება მხოლოდ წელში მოხრილ მდგომარეობაში. ამავე რაიონის სოფელ ჯუგაანის, ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოს შვერნიკის სახელობის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის და წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობების მეცხვარეობის ზოგიერთი ბრიგადის ფარეხებთან მოწყობილი არ არის ბაკები.

მწყემსთა საცხოვრებელი ბინები წარმოადგენს უსარკმელო პრიმიტიულ მიწურს. ბინებში არ არის საწოლები, სასადილო მაგიდები, სკამები, პირსაბანები. არსად არ არის მოწყობილი აბანოები. მეტ წილ მიწურებში არა აქვთ ღუმელები და ცეცხლს ანთებენ მიწაზე, ქოხის შუა ადგილას (ე. წ. „შუა ცეცხლი"), რის გამო მთელი კედლები გაჭვარტლული და შებოლილია. უფრო მეტი. ზოგიერთ ფერმაში ასეთ მიწურებსაც მოკლებული არიან და მწყემსები ცხვართან ერთად ცხოვრობენ ფარეხებში. მაგალითად, ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოს შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადაში, რომელიც საძოვარ „ოლეზეა", მწყემსებს საცხოვრებლად მიწური ქოხიც არა აქვთ და ცხვართან ერთად პრიმიტიულ ფარეხებში ათევენ ღამეს. ქოხებში ანტისანიტარიაა. ასეთსავე პირობებში არიან თელავის რაიონის სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის და სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობათა მწყემსები (საძოვარი „ივრის პირი").

წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის და თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავის" ზოგიერთი ბრიგადის მწყემსებს, რომლებიც მიწურში ცხოვრობენ, უსაწოლობის გამო მიწაზე სძინავთ. ისინი მოკლებული არიან ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს.

ჯერ კიდევ მოსაგვარებელია მწყემსთა კვების საკითხი. მწყემსების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია პურის ფქვილით, მაგრამ მათი უმრავლესობა პურს თვითონ აცხობს ანტისანიტარულ პირობებში ღუმელზე ან „ღია ცეცხლზე". კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი ფქვილს გარდა მწყემსებს საჭმელად აძლევს მოხდილი რძისაგან დამზადებულ ხაჭოს (ე. წ. კალტს). ახმეტის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას (სოფელ დუისის ვოროშილოვის სახელობის, სოფელ ჯოყოლოს შვერნიკის სახელობის და სხვ. სასოფლო-სამეურნეო არტელები) მწყემსებზე გაუციათ მხოლოდ სიმინდის ფქვილი, რომელსაც ეს უკანასკნელნი წყალში ხარშავენ და იმით იკვებებიან.

თითქმის სრულიად მივიწყებულია მწყემსთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

მეცხვარეობის შემოწმებული ფერმებიდან ახალი გაზეთები აღმოაჩნდათ მხოლოდ ზოგიერთებს. დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო არტელების ფერმებს კი გაზეთები არა აქვთ გამოწერილი. არც ერთ შემოწმებულ ფერმასა და ბრიგადაში არ არის რადიომიმღები, არავინ არ ზრუნავს მწყემსთა კინომომსახურებაზე.

ფერმებში მოწყობილი არ არის წითელი კუთხეები, რის გამო მწყემსებს შესაძლებლობა არა აქვთ სპეციალური ლიტერატურის დახმარებით გაეცნონ მოწინავე გამოცდილებას, შეისწავლონ მათ წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანების წარმატებით გადაჭრის გზები.

მოსაგვარებელია მწყემსების სავაჭრო მომსახურება, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მოკლებული არიან პირველი მოთხოვნილების საგნებს.

მიმდინარე წელს ბევრ კოლმეურნეობას არ აღმოაჩნდა საზამთრო საძოვრებზე საკვების სათანადო მარაგი. ამრიგად, თავიდან ვერ აიცილეს გასული სამეურნეო წლის შეცდომები.

პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებული სადაზღვევო მარაგი უხეში საკვებისა და კონცენტრატებისა საჭირო რაოდენობით არ დაუმზადებიათ და არ მიუტანიათ ბინებში ახმეტის რაიონის სოფელ მატაანის მახარაძის სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის, წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის, კაჭრეთის რაიონის სოფელ შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობების მეცხვარეობის ცალკეულ ბრიგადებსა და ფერმებს.

როგორც ცნობილია, შირაქის საძოვრები მიმაგრებული არ არის ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებზე. მიუხედავად ამისა, ამ რაიონის ცხრა კოლმეურნეობამ 12 ათას სულამდე ცხვარი წინასწარ მოუმზადებლად გადარეკა გამოსაზამთრებლად აღნიშნულ საძოვრებზე, სადაც იგი უზრუნველყოფილი არ არის საჭირო ფარეხებით, კონცენტრირებული საკვებითა და თივის სადაზღვევო მარაგით, ხოლო მწყემსები — კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლებით.

ნაკლოვანებებია დოლისათვის მზადების საქმეშიც. შირაქის საზამთრო საძოვრებზე დოლი მალე დაიწყება. მიუხედავად ამისა, აქამდე არ დაუწყიათ საბატკნეების მშენებლობა ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოს შვერნიკის სახელობის, სოფელ წინუბნის ჟდანოვის სახელობის, თელავის რაიონის სოფლების ვანთისა და ბუშეთის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებს, გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებას" და ყვარლის რაიონის სოფელ ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორას".

ძველი საბატკნეები არ შეუკეთებიათ კაჭრეთის რაიონის სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს.

დოლის წარმატებით ჩასატარებლად დამხმარე მუშახელის ნაკლებობას განიცდიან თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის მოლოტოვის სახელობის და სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის, წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები.

საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ შირაქის საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში მეცხვარეობის ახალ აღმავლობას.

**ი. ხარისჩარიშვილი,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი მეცხოველეობისა და დამზადების დარგში.

## საერთაშორისო თემაზე

# აფრიკის ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

აფრიკას თავისი ტერიტორიით მეორე ადგილი უჭირავს მატერიკთა შორის. მისი ფართობი შეადგენს დაახლოებით 30 მილიონ კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა — 214 მილიონ კაცს. ევროპის სახელმწიფოებმა აფრიკის ტერიტორიის კოლონიზაცია ძირითადად გასულ საუკუნეში მოახდინეს.

აფრიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ხელში ჩაიგდეს ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, პორტუგალიამ და სხვ. ისინი უზომო ექსპლოატაციას უწევენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.

იმპერიალისტური ქვეყნები აფრიკას უყურებენ როგორც მნიშვნელოვან სტრატეგიულ რაიონს და ნედლეულის წყაროს. აფრიკა მდიდარია წიაღისეულით.

აფრიკის ქვეყნებში მრეწველობის განვითარება უმთავრესად მეორე მსოფლიო ომის შემ- [illegible]

[illegible] ერების ორგანიზაციამ ფორმალურად გააუქმა ინგლისის მანდატი ტოგოზე, კამერუნზე და ტანგანიკაზე; საფრანგეთისა — ტოგოსა და კამერუნზე; ბელგიისა — რუანდა-ურუნდიზე. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინგლის-ამერიკის უმრავლესობამ მიაღწია იმას, რომ ეს ქვეყნები კვლავ დარჩენილიყვნენ ძველ მფლობელთა ხელში. სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა კვლავ რჩება სამხრეთ აფრიკის კავშირის სასტიკი რასობრივი ჩაგვრის ქვეშ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ მიიღო სსრ კავშირის წინადადება იტალიის ყოფილი კოლონიებისათვის — ერიტრეის, ლიბიისა და სომალისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ლიბიას აღუთქვეს დამოუკიდებლობა 1952 წლის იანვრიდან, სომალის ნაწილი ათი წლის ვადით სამეურვეოდ გადასცეს იტალიას, ერიტრეა შეუერთეს ეთიოპიას, როგორც ეთიოპია-ერიტრეის ფედერაციის ავტონომიური ერთეული.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აფრიკის ქვეყნებში განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აფრიკის ქვეყნებში იქმნებოდა სხვადასხვა სახის ორგანიზაციები, ეწყობოდა დემონსტრაციები და გაფიცვები. ზოგჯერ ხდებოდა შეიარაღებული გამოსვლებიც უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა ერთიანი ეროვნული ფრონტი. ამ ორგანიზაციებში შედიოდნენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია.

1946 წელს შეიქმნა ერთიანი ორგანიზაცია „ნიგერიისა და კამერუნის ეროვნული საბჭოს" სახით. მსგავსი ორგანიზაციები შეიქმნა ოქროს ნაპირზე, ტანგანიკაში, სუდანში, კენიაში, ნიასალენდში და სხვ. საფრანგეთის სამფლობელოებში შეიქმნა „აფრიკის დემოკრატიული გაერთიანება".

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში სახელი გაითქვეს ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა — ტუნისის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირმა, ალჟირის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირმა, მაროკოს ახალგაზრდობის კავშირმა, ოქროს ნაპირის ახალგაზრდობის კომიტეტმა, ნიგერიისა და კამერუნის ახალგაზრდობის კონგრესმა და სხვა ორგანიზაციებმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აფრიკის ქვეყნებში სხვადასხვა მასშტაბით განვითარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ალჟირში, მაროკოში, ტუნისში. კოლონიზატორების ყოველგვარი ცდა შეეჩერებინათ ეს მოძრაობა მარცხით მთავრდებოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში წარმატებით დამთავრდა. ბოლო მოეღო საფრანგეთის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ბატონობას მაროკოში. 1956 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საფრანგეთის მთავრობა ცნობდა მაროკოს დამოუკიდებლობას. გასულ წელს მაროკო მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

ასევე წარმატებით დამთავრდა ტუნისის მოსახლეობის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. გასული წლის 20 მარტს ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-ტუნისის ოქმი, რომლითაც საფრანგეთის მთავრობამ ცნო ტუნისის ეროვნული დამოუკიდებლობა.

წლების განმავლობაში იარაღით ხელში დამოუკიდებლობისათვის იბრძვის ალჟირის მოსახლეობა. 1951 წელს შეიქმნა „თავისუფლების დაცვისა და პატივისცემის ალჟირის ფრონტი", რომელმაც ხელში აიღო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა. 1952 წლიდან ალჟირში მუშათა გაფიცვებს დაემატა გლეხთა აჯანყებებიც, ხოლო 1955 წლიდან ალჟირის მოსახლეობამ იარაღით ხელში დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება და სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიური უღელი მოიშორა აფრიკის კიდევ ერთმა ქვეყანამ — ლიბიამ. 1951 წლის დეკემბერში ლიბია გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ოფიციალურად იგი იწოდება ლიბიის გაერთიანებულ სამეფოდ და შედგება ფედერაციული ნაწილებისაგან — ტრიპოლიტანიის, კირენაიკისა და ფეცისაგან. ლიბიაში იმპერიალისტურმა ქვეყნებმა შეინარჩუნეს სამხედრო ბაზები.

დამოუკიდებლობისათვის მოძრაობამ ფართო გაქანება მიიღო ეგვიპტესა და სუდანში. ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა. იგი მტკიცედ დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას. ეგვიპტელი ხალხის ამ წარმატებამ განგაში გამოიწვია იმპერიალისტურ ქვეყნებში, კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთში, განსაკუთრებით ეგვიპტის მთავრობის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შემდეგ. სუეცის არხის ძალით დაპყრობის მიზნით ინგლისის, [illegible]

[illegible] თის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მათი ეს ცდებიც ჩაიშლება. აფრიკელი ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მჭიდროდ არის დაკავშირებული ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხების ბრძოლასთან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლას ვერ შეაჩერებს იმპერიალისტების ვერავითარი ცდა.

გასული წლის იანვარში მსოფლიოში გაჩნდა კიდევ ერთი სუვერენული სახელმწიფო — 1 იანვარს ხარტუმში საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა სუდანის რესპუბლიკის შექმნა.

იმპერიალისტების ცდა შეინარჩუნონ სუდანში თავიანთი პოზიციები მარცხს განიცდის. სუდანის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს იაროს დამოუკიდებელი გზით, მშვიდობისა და აყვავების გზით.

კოლონიზატორები აფრიკის მოსახლეობის სასტიკ ექსპლოატაციას ეწევიან. ადგილობრივი მოსახლეობის უუფლებობა ყველაზე უფრო ჩანს სამხრეთ აფრიკის კავშირში. ინგლისის ეს დომინიონი ამჟამად ცნობილია როგორც რეაქციის, ფაშიზმისა და ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის ერთ-ერთი დიდი კერა აფრიკაში. აქ ადგილობრივი მოსახლეობის უუფლებობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პარლამენტის 197 წევრიდან 190 თეთრკანიანია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა სამხრეთ აფრიკის კავშირის მოსახლეობის ბრძოლა ადგილობრივი და უცხოელი რეაქციული ძალების ბატონობის წინააღმდეგ. საგრძნობლად გაიზარდა პროლეტარიატის რიცხვი. ომამდელ პერიოდთან შედარებით 1948 წლისათვის მუშათა კლასის რიცხვი გაიზარდა 31 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მუშების რიცხვი კი 13 პროცენტით. პროლეტარიატის რიცხვის გადიდებას თან სდევს მისი შეგნებულობისა და ორგანიზებულობის ზრდა.

სამხრეთ აფრიკის კავშირში მთელი რიგი დემოკრატიული ორგანიზაციები არსებობენ. იზრდება მშვიდობისათვის მებრძოლთა რიცხვი. ევროპელი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც აგრეთვე ჩაგრავს კაპიტალი, ერთიანდება ადგილობრივ მოსახლეობასთან. ისინი ხშირად ერთად აწყობენ დემონსტრაციებს და ერთიანი ძალით გამოდიან იმპერიალისტების ბატონობის წინააღმდეგ. ოქროს ნაპირის მოსახლეობის აქტიურმა ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის ინგლისის მთავრობა აიძულა ოფიციალურად გამოეცხადებინა, რომ 1957 წლის 6 მარტს ოქროს ნაპირი გახდება დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ფარგლებში და მას დაუბრუნდება თავისი ძველი სახელწოდება — განა. განა იქნება ზანგთა პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო აფრიკაში. ეჭვს გარეშეა, რომ აფრიკის ზანგთა სხვა ქვეყნებიც დაადგებიან ამავე გზას.

კოლონიზატორებმა აფრიკის ქვეყნები გადააქციეს მეტროპოლიებისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნებად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აფრიკაში იჭრება ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალი. 1952 წელს ამერიკის კაპიტალდაბანდება ამ რაიონში ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი იყო. ამერიკას აქვს სამხედრო ბაზები ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ტერიტორიაზე.

ასეთ ვითარებაში მიმდინარეობს აფრიკის მოსახლეობის ბრძოლა არა მარტო კოლონიების ძველი მფლობელი ქვეყნების ბატონობის წინააღმდეგ, არამედ ახალი სახის კოლონიზატორის — ამერიკის იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგაც. ამ ბრძოლაში ერთიანდებიან აფრიკის ქვეყნების დემოკრატიული და პატრიოტული ძალები, მუშათა კლასით დაწყებული და ეროვნული ბურჟუაზიით დამთავრებული.

აფრიკა წელში იმართება. კონტინენტის მთელი მოსახლეობა სულ უფრო აქტიურად ებმება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შეიძლება ითქვას, რომ, თუ XIX საუკუნე იმპერიალისტური ქვეყნების მიერ აფრიკის დანაწილების საუკუნე იყო, XX საუკუნე აფრიკის ხალხების მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების საუკუნე იქნება.

დოცენტი **ი. ტაბაღუა.**

# გ. კ. ჟუკოვი ინდოეთში

**მადრასი,** 6 თებერვალი. **(საქდესის სპეც. კორ.).** გუშინ საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა დაათვალიერა ინდოეთის გზათა სამინისტროს მადრასის სახელმწიფო ვაგონმშენებელი ქარხანა. მანქანები მიადგნენ ქარხანას, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანშია. ეზოში და საამქროების შესასვლელებში არის წარწერები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!".

გ. კ. ჟუკოვს გულითადად მიესალმება ქარხნის მმართველი სადაგოპამი.

მმართველი მარშალს აცნობებს, რომ ქარხანა არის აღმოსავლეთის და, შესაძლებელია, მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვაგონმშენებელი საწარმო. დამოუკიდებლობის მიღების ცოტა ხნის შემდეგ, ამბობს იგი, მთავრობამ გადაწყვიტა აეგო ეს ქარხანა, რათა უზრუნველეყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ვაგონმშენებლობის დარგშიც. ქარხნის აგება დაიწყო 1952 წლის სექტემბერში. სამ წელიწადში აშენდა 94 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი და 50 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი სასწავლო დამხმარე ობიექტებისათვის და საცხოვრებელი ფართობი. ეს ინდოეთის თავისებური რეკორდია ტემპების [illegible]

[illegible] ხელსნოებს.

დგება გამგზავრების დრო. ქარხნის მმართველი მარშალს მიმართავს და ამბობს: მსურს საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს მოვახსენო უდიდესი მადლობა ჩვენი ქარხნის ნახვისათვის. მისი მოსვლა აღგვაფრთოვანებს. ჩვენთვის ეს არის ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღესასწაული.

სადაგოპამი მარშალს სთხოვს ქარხნის სახსოვრად მიიღოს ვაგონის ვერცხლის მოდელი იშვიათი ხის პოსტამენტზე, რომელიც მხატვრულად არის მორთული ვერცხლითა და ოქროთი.

გ. კ. ჟუკოვმა საჩუქარი მიიღო და განაცხადა: გმადლობთ მეგობრობის გულთბილი სიტყვებისა და სამახსოვრო საჩუქრისათვის. მოხარული ვარ, რომ ვნახე თქვენი ქარხანა, ყოველმხრივ მშვენიერი, დაწყებული არქიტექტურით და დამთავრებული წარმოების უაღრესად სრულყოფილი პროცესით. თქვენს ქარხანას დიდი მომავალი აქვს. ასეთი ქარხნები ესაჭიროება ინდოეთს. ისინი დახმარებას უწევენ ინდოეთს თავისი ცხოვრების გარდაქმნაში, იმაში, რომ იგი უფრო ბედნიერი გახადოს ყველასათვის. მსურს თქვენ და ქარხნის მთელ კოლექტივს გადმოგცეთ საბჭოთა ხალხის უაღრესად გულთბილი და გულითადი სალამი და ინდოელი ხალხის ბედნიერი მომავლის ჩვენი სურვილები.

[illegible]

**დელი,** 6 თებერვალი. **(საქდესი).** როგორც დელის რადიომ გამოაცხადა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი დღეს კალკუტაში ჩავიდა.

# ირანის პარლამენტის საპასუხო წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი

როგორც უკვე პრესა იუწყებოდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ ირანში ყოფნის დროს ამა წლის 20 იანვარს ირანის სენატისა და მეჯლისის თავმჯდომარეებს გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წერილი ირანის პარლამენტისადმი.

ირანის სენატის თავმჯდომარემ ტაგი-ზადემ და მეჯლისის თავმჯდომარემ ჰექმათმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გამოუგზავნეს ირანის პარლამენტის საპასუხო წერილი.

ირანის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეთა წერილში, რომელიც გამოგზავნილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის პ. პ. ლობანოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ტ. ლაცისის სახელზე, ნათქვამია:

„ჩვენ ძლიერ გაგვახარა თქვენმა წერილმა, რომელიც ჩამოიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პატივცემულმა დელეგაციამ მისი აღმატებულების ბ-ნ **ტარასოვის** მეთაურობით და რომელიც მოწმობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრულ და კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ირანთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივცემული მეთაურის განცხადებამ სენატსა და მეჯლისში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კეთილი განზრახვებისა და იმის შესახებ, რომ წარმატებებს და პროგრესს უსურვებს ირანს, ორივე პალატაზე მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს კეთილი განზრახვა და მეგობრობის გამოხატულება შეესაბამება იმ ინტერესსა და ყურადღებას, რომლებითაც ირანელი ხალხი, თავის მხრივ, ეპყრობოდა და ეპყრობა საბჭოთა კავშირის წარმატებებსა და პროგრესს.

ირანის მთავრობამ არაერთგზის ცხადყო თავისი კეთილი განზრახვები და თავის პოლიტიკას თქვენი დიდი ქვეყნისადმი და სხვა თავისი მეზობლებისადმი ამყარებს ურთიერთ პატივისცემისა და მშვიდობისმოყვარეობის პრინციპზე.

მისი უდიდებულესობის შაჰინშაჰისა და მისი უდიდებულესობის დედოფლის სორეია ფეჰლევის მოგზაურობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მოწმობს დიდ ყურადღებას, რასაც მათი უდიდებულესობანი იჩენენ თქვენი ქვეყნის ხალხებთან მეგობრობისადმი.

ირანის სენატორებსა და მეჯლისის დეპუტატებს ძლიერ სურთ, რომ ორ ქვეყანას შორის არსებობდეს მეგობრობა და გულწრფელობა, და მუდამ მიიღებენ ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

პირადად ჩვენი და ირანის პარლამენტის წევრთა სახელით ვაცხადებთ, რომ მეტად გაგვახარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პატივცემულ დელეგაციასთან შეხვედრამ და მისმა გაცნობამ და მისი მეშვეობით ჩვენს მეგობარსა და მეზობელ ხალხს ვუთვლით ირანელი ხალხის წმიდა და უანგარო გრძნობებს.

სენატის თავმჯდომარე **სეიდ ჰასან ტაგი-ზადე** მეჯლისის თავმჯდომარე **რეზა ჰექმათი".**

# საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კულტურული თანამშრომლობა

მოსკოვში 1957 წლის 31 იანვრიდან 6 თებერვლამდე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შერეული კომისიის მუშაობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ 1956 წლის 30 ივნისის შეთანხმების განხორციელების 1957 წლის გეგმის შესამუშავებლად.

საბჭოთა კავშირის მხრივ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. ვ. ნ. სტოლეტოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის IV განყოფილების გამგე ამხ. ა. ი. გორჩაკოვი.

პოლონეთის მხრივ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრი ამხ. კ. კურილიუკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ამხ. კ. კოროლჩიკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრის კაბინეტის დირექტორი ამხ. ბ. პლაზი.

კომისიის მუშაობაში ორივე მხრივ მონაწილეობდნენ აგრეთვე მრჩევლები და ექსპერტები.

გეგმის განხილვისას ორივე მხარემ კმაყოფილებით დაადასტურა, რომ სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობა მტკიცდება და ფართოვდება სრული თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის საფუძველზე. სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაფართოებას გასულ წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნის ხალხებს შორის ურთიერთ გაგებისა და გულითადი მეგობრობის განვითარებაში.

მხარეებმა ერთსულოვნად მიიჩნიეს, რომ საჭიროა შემდგომ განვითარდეს კულტურული თანამშრომლობა სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, რაც არა მარტო შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, არამედ აგრეთვე ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, შემუშავებულ და ხელმოწერილ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ 1956 წლის 30 ივნისის შეთანხმების განხორციელების 1957 წლის შეთანხმებული გეგმა.

გეგმა ითვალისწინებს სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თანამშრომლობას შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას მეცნიერების, უმაღლესი განათლების, განათლების, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, თეატრის, კინოს, პრესის, რადიოს, ტელევიზიის დარგში, აგრეთვე გამოცდილების გაცვლას კულტურის გავრცელების დარგში.

მხარეები აზრთა გაზიარების შემდეგ მივიდნენ იმ რწმენამდე, რომ კულტურის მიღწევათა უკეთესი ურთიერთ გაცნობისა და გამოყენების მიზნით, საჭიროა ყველა საშუალებით წახალისებულ იქნას უშუალო კონტაქტების დამყარება და გაფართოება და გამოცდილების, ინფორმაციის, ნაბეჭდი გამოცემებისა და მასალების გაცვლა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებს, სასწავლებლებს, თეატრებს, კინოსტუდიებს, გამომცემლობებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და მეცნიერებისა და კულტურის სხვა დაწესებულებებს შორის, აგრეთვე კულტურისა და მეცნიერების ცალკეულ მოღვაწეთა შორის.

ორივე მხარე აგრეთვე შეთანხმდა, რომ ისინი ხელს შეუწყობენ მწერლების, მუსიკოსების, მსახიობების, მხატვრების, არქიტექტორებისა და ჟურნალისტების შემოქმედებითი ორგანიზაციების თანამშრომლობისა და ურთიერთობის განმტკიცებას.

ამა წლის 6 თებერვალს ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ 1956 წლის 30 ივნისის შეთანხმების განხორციელების 1957 წლის გეგმას, აგრეთვე გეგმის შემმუშავებელი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შერეული კომისიის მუშაობის ოქმს.

ხელმოწერას, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დელეგაციების წევრების, მრჩევლებისა და ექსპერტების გარდა, დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოსკოვში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი მუშაკები, საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, აგრეთვე გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები.

# რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების არჩევნების საბოლოო შედეგები

**ბუქარესტი,** 6 თებერვალი. (საქდესი). დღევანდელმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა 1957 წლის 3 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში აღნიშნულია, რომ ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული იყო სულ 11.652.289 მოქალაქე. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11.553.690 მოქალაქემ, ანუ ყველა ამომრჩეველთა 99,15 პროცენტმა. სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 11.424.521 მოქალაქემ — კენჭისყრის მონაწილე ყველა ამომრჩეველთა 98,88 პროცენტმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 115.880 ამომრჩეველმა, რომლებიც კენჭისყრის მონაწილე ყველა ამომრჩეველთა 1 პროცენტს შეადგენენ. 13.289 ბიულეტენი (0,12 პროცენტი) გაუქმებულად ჩაითვალა.

სახალხო დემოკრატიის ფრონტის ყველა 437 კანდიდატი არჩეულია დიდი ეროვნული კრების დეპუტატად.

დიდი ეროვნული კრების არჩევნების შედეგები, წერს დღეს გაზეთი „სკინტეია", რუმინელი ხალხის, რუმინეთის მუშათა პარტიის დიდი პოლიტიკური გამარჯვებაა და დამაჯერებლად მოწმობს ხალხის მასების ერთგულებას იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ახორციელებს. ეს შედეგები მოწმობენ, რომ რუმინელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ მეტი ენერგიით განაგრძოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დიადი საქმე, რომ იგი მტკიცედ ესწრაფვის განახორციელოს პარტიის II ყრილობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებანი.

# სპორტის ამბები

## სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

დაიწყო სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მეორე ნახევარი. ახლა, ფინიშის მოახლოებასთან დაკავშირებით, ბრძოლა მეტად დაძაბული და საინტერესო ხდება.

მე-11 ტურამდე დაუმარცხებლად მხოლოდ ორი მოჭადრაკე — ტოლუში და ხოლმოვი იბრძოდა, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა, შეჯიბრების ლიდერმა ტოლუშმა მე-11 ტურში დამარცხება განიცადა. მან წააგო პარტია პეტროსიანთან. გროსმაისტერმა კერესმა მოუგო გურგენიძეს, მიკენასმა — კორჩნოის, ნეჟმეტდინოვმა — ანტოშინს, ბრონშტეინმა — ხასინს. ბოლესლავსკი და არონსონი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თერთმეტი ტურის შემდეგ პირველობის გათამაშებას ლიდერია გროსმაისტერი ტოლუში, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. ბრონშტეინსა და პეტროსიანს შვიდ-შვიდი ქულა აქვთ, სპასკისა და ტალს — ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია, კერესს — 6,5 ქულა.

## [illegible]

[illegible] დღეს თბილისის ორივე გუნდმა მესამე დამარცხება განიცადა — დინამოელებმა წააგეს თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებთან ანგარიშით 62:73 (პირველი ტაიმი 33:35), „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდმა ამავე სასპორტო საზოგადოების ლენინგრადის გუნდთან 52:53 (31:31).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ქალთა გუნდები — კაუნასის „ჟალგირისი" — მოსკოვის „სტროიტელი" 44:33 (22:17); ვაჟთა გუნდები — ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — რიგის ოფიცერთა სახლის გუნდი 82:49 (33:18), კაუნასის „ჟალგირისი" — ტარტუს „კალევი" 62:59 (33:28).

**ლენინგრადი,** 7 თებერვალი. **(ტელეფონით სპეც. კორ.).** ლენინგრადის ჯგუფში შემავალ უძლიერეს კალათბურთელთა კოლექტივების ასპარეზობის უკანასკნელ დღეს, 6 თებერვალს, თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკის" ძლიერი კოლექტივი ანგარიშით 60:53 (პირველი ტაიმი 28:24). მოსკოვის დინამოელებმა დაამარცხეს ტარტუს „კალევი" 66:51 (37:33), რიგის ოფიცერთა სახლის გუნდმა — კაუნასის „ჟალგირისი" 80:51.

ქალთა გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთი იყო: ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — მოსკოვის „სტროიტელი" 63:60 (29:34), რიგის „დაუგავა" — კაუნასის „ჟალგირისი" 51:33 (29:20), ტარტუს „კალევი" — თბილისის „ბურევესტნიკი" 75:52 (32:29).

## ქუთაისის „ლოკომოტივი" „ბ" კლასში

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის საპორტო სეზონში „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობაში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს ორი კოლექტივი, რომლებიც გაერთიანებული არიან მესამე ზონაში. ესენი არიან თბილისის ოფიცერთა სახლისა და ქუთაისის „ლოკომოტივის" გუნდები.

„ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები უკვე შეუდგნენ საკავშირო ჩემპიონატისათვის მზადებას. ბევრი მათგანი შეკრებას გაივლის შავიზღვისპირა კურორტებზე, აქვე დაკომპლექტდება გუნდები, მოეწყობა საკონტროლო შეხვედრები. ქუთაისელი ფეხბურთელები წვრთნას გაივლიან ოჩამჩირეში.

„ლოკომოტივის" გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მოთამაშეებით. ლოკომოტიველები პირველ კალენდარულ მატჩს საკავშირო პირველობაზე გამართავენ თავიანთ მოედანზე 31 მარტს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის წინააღმდეგ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. [illegible]

ფოტო [illegible]

# ხელოვნების მუშაკებთან ჟურნალისტების შეხვედრის საღამო

6 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზამთრო თეატრში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებთან თბილისის ჟურნალისტთა შემოქმედებითი შეხვედრის საღამო, რომელიც მოაწყეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციამ და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კომპოზიტორმა ვ. გოკიელმა.

კონცერტის პირველი განყოფილება მიჰყავდათ მსახიობებს მ. გეგეჭკორს და ვ. კინწურაშვილს. საქართველოს ფილარმონიის სოლისტმა ა. ჩიჯავაძემ ვიოლონჩელზე შეასრულა ა. შავერზაშვილის პიესა და ს. ცინცაძის მუსიკალური მინიატიურა „საჩიდაო". ინსტრუმენტალისტთა ტრიომ, რომელშიც შედიან ახალგაზრდა შემსრულებლები — ვიოლინისტი გ. ოქროპირიძე, პიანისტი ა. ნიჟარაძე და ვიოლონჩელისტი ი. ჰეიშვილი, შეასრულა მარში ს. პროკოფიევის ოპერიდან „სამი ფორთოხლის სიყვარული". ემოციურად იმღერეს მომღერლებმა ე. გვაზავამ და ც. ციცქიშვილმა „ზანგური ნანა" და კომპოზიტორ ს. მირიანაშვილის რომანსი „მიყვარხარ". სატირული და პაროდიული სიმღერები შეასრულეს ესტრადის მსახიობებმა დ. ესებუამ და ო. სანდომისაშვილმა. როიალის პარტიას ასრულებდა კონცერტმეისტერი ე. აგაბეკოვა.

კონცერტის მეორე განყოფილება მიეძღვნა ჯაზ-ორკესტრის გამოსვლას გ. გაბესკირიას ხელმძღვანელობით. მეორე განყოფილებაში კონფერანსიეები იყვნენ მ. ხერხეულიძე და მ. ჟვიძე.

თბილისის ჟურნალისტებმა მადლობა გადაუხადეს ხელოვნების მუშაკებს გულთბილი შეხვედრისათვის. (საქდესი).

## „კომუნისტის" პრესის კაბინეტი

9 თებერვალს

**საუბარი კედლის გაზეთების რედაქტორებთან და მუშკორებთან თემაზე „კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაცია" (გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია, ლენინის ქ. № 14, IV სართული. საღ. 7 საათზე).**

10 თებერვალს

**თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის მტსის ზონის კოლმეურნეობების კედლის გაზეთების რედაქტორებისა და სოფლკორების თათბირი თემაზე „ძირეული პრესა და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხები". თათბირი გაიმართება სოფელ ასურეთში, დღის 2 საათზე.**

**რედაქტორი გ. ფირცხალავა.**

მეუღლე ოლია, შვილები შოთა, ზინა, თამარ, რძალი მერი ოჯახებით იუწყებიან

**ისიდორე ბესარიონის-ძე ჩიჩხიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-II 4 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, მარდალეიშვილის ქ. № 12.

შვილები სანდრო, ქეთო, თამარ, დები მარინე, ანასტასია, ძმა ბარნაბ, რძალი თამარ, სიძე ვ. წილოსანი ოჯახებით იუწყებიან

**იორდანე ალექსანდრეს-ძე დარჩიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-II, სოფ. გვიმბალაურში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე ირაკლი, შვილი ბადურ მარგველაშვილები, და თამარ, ძმა ოთარ ლოლაძეები ოჯახებით იუწყებიან

**კადუ ალექსანდრეს ასულ ლოლაძე-მარგველაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-II, 8 ს. გამოსვენება 10-II, 2 ს. პეტრიაშვილის ქ. № 6.

მეუღლე თამარ კურცხალია, შვილი ვლადიმერ, რძალი ოლია ოჯახით იუწყებიან

**კონსტანტინე ზაქარიას-ძე რუსიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-II, 8 ს. გამოსვენება 10-II, 3 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 148.

გეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლები იუწყებიან

**ევგენია ნიკოლოზის ასულ ალექსიძის**

გარდაცვალებას.

დედა ფედოსა, ძმები ტიტიკო, მამია, და სულიკო, მეუღლე ნელი ოჯახებით იუწყებიან

**ვასილ ალექსის-ძე ზამბახიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-II, 8 ს. გამოსვენება 10-II, 2 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 66.

დედა ჩატუ, მეუღლე ქეთევან მაჭავარიანი, დები თამარ, ბაბუსია, ძმა ვახუშტი, რძალი ფაცია შონია, სიძეები შ. მაჭარაძე, ს. ქარელი ნათესავებით იუწყებიან ექიმ

**შალვა ნიკოლოზის-ძე შენგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-II, 8 ს. გამოსვენება 10-II, 3 ს. მელიქიშვილის ქ. № 29.

შვილები ნიკოლოზ, ლუბა, ნინო, სონია, შურა, თამარ, რძალი თინა, სიძეები პ. კვერკველია, ნ. ბაკურაძე, ს. ტაბიძე, ვ. მინდაძე, ქ. ქაჯაია ოჯახებით იუწყებიან

**ელისაბედ მათეს ასულ კრავეიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-II, 4. ს. ქ. სამტრედიაში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 173.

დედა ანა, მეუღლე ნანა, შვილები ფრიდონ, ავთანდილ, ტარიელ, დები თამარ, ბაბულია, სიძეები ა. მანჯგალაძე, ი. ქარაზანიშვილი ოჯახებით იუწყებიან

**შოთა ოფოფის-ძე ბენდუქიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-II, 8 ს. გამოსვენება 10-II, 3 ს. ორჯონიკიძის ქ. № 122.

მეუღლე კონსტანტინე, შვილები ლამარა, არჩილ, დები შუშუ, ბაბუცა, რძალი თამარ, სიძე ი. თოდუა იუწყებიან

**ლიდა კონსტანტინეს ასულ ბერიძე-ბოჯგუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-II ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 58.

შვილები დავით, სიმონ, თამარ, ელენე, რძლები ბაბილინა, კლავდია ოჯახებით იუწყებიან

**პოპინა გედევანის ასულ ჯაფარიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-II, 8 ს. გამოსვენება 10-II. 3 ს. პრესის ქ. № 12 (კოლმეურნეობის მოედანი).

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-08, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 01333 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.